საქართველოს სახალხო დამცველი

10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2017

წინასიტყვაობა

ყოველი წლის 10 დეკემბერს ცივილიზებული სამყარო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. 1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მიღებით, წევრმა სახელმწიფოებმა ადამიანის ღირსების პატივისცემისა და თანასწორობის იდეა ყველა ხალხისა და ყველა ერის საერთო მონაპოვრად გამოაცხადეს. დღეს, დეკლარაციის მიღებიდან თითქმის 70 წლის შემდეგ, როდესაც ავტორიტარული რეჟიმებისა და ტერორისტული საფრთხეების წინაშე კაცობრიობის მთავარი მონაპოვარი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, დეკლარაცია, როგორც ცოცხალი დოკუმენტი, გვავალდებულებს ავიმაღლოთ ხმა თითოეული ადამიანის უფლებების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის სულისკვეთების გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტი, წინამდებარე ანგარიშის სახით წარმოადგენს 2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასებას. ანგარიში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2013 წელს დაწყებული ინიციატივის გაგრძელებაა - ყოველი წლის 10 დეკემბერს შეაჯამოს და საზოგადოებას გააცნოს ქვეყანაში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის კუთხით არსებული ძირითადი გამოწვევები და მიღწევები.

შესავალი

მიმდინარე წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა 2017 წელს „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის რატიფიცირებაა, რითაც სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი; ასევე, მიმდინარე წელს დამტკიცდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტები.

მიმდინარე წელს რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ძალადობის შემთხვევებიც შემცირდა, რაც მსგავსი დანაშაულების კლების ტენდენციაზე მიუთითებს. თუმცა პრობლემა დაძლეული არ არის - გასული წლების საქმეები უმეტესწილად კვლავ გამოუძიებელია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის შესახებ სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაცია გაიზიარა, მათ შორის, ახალი ბილინგვური მოდელის დანერგვისა და შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნის, სასკოლო სახელმძღვანელოებში მრავალფეროვნების ასახვის და სომხური და აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენის სახელმძღვანელოების საქართველოში შედგენისა და გამოცემის შესახებ. რეკომენდაციების გაზიარება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია და ახლა მათი სრულყოფილი შესრულებაა აუცილებელი.

საანგარიშო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია მშვიდობიანი შეკრებების დარბევას ან არაპროპორციული ძალის გამოყენებას დემონსტრანტების წინააღმდეგ. რაც შეეხება ბათუმში 11–12 მარტს ორგანიზებული პროტესტის დაშლას, სახალხო დამცველი დაგვიანებულად აფასებს სამართალდამცავთა რეაგირებას, ვინაიდან აქცია ძალიან სწრაფად გასცდა მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და გადაიზარდა დაპირისპირებაში, რომელსაც შედეგად ძალადობა, ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება და ქონების განადგურება მოჰყვა.

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობის კონსტიტუციური მანდატის განხორციელებისას, საქართველოს სახალხო დამცველი და მისი აპარატი არაერთხელ გახდა თავდასხმის ობიექტი პოლიტიკური თანამდებობის პირების, სასამართლოსა და პროკურატურის წარმომადგენლების მხრიდან, რაც გაცდა სახალხო დამცველის ანგარიშებისა და შეფასებების არგუმენტირებული კრიტიკის ფარგლებს და პერსონალურ თავდასხმებსა და ინსტიტუტის მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობაში გადაიზარდა.

2017 წლის 10 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში 3 საათზე მეტი ხნის განმავლობაში არ მიაწოდეს ინფორმაცია თბილისის საკრებულოსთან დაკავებული აქციის მონაწილეების ადგილსამყოფელის შესახებ.

სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონსა და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონში არსებული კოლიზიური ნორმები აფერხებს სახალხო დამცველის მანდატით გათვალისწინებულ საქმიანობას და საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს.

საანგარიშო პერიოდში დაასრულა მუშაობა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ. მუშაობის პროცესში კომისიამ არ გაითვალისწინა ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხები, რამაც რიგ შემთხვევებში შეასუსტა ადამიანის ძირითადი უფლებებისა დაცვის სტანდარტი. იმ ფონზე, როდესაც საკონსტიტუციო კომისიამ უარი განაცხადა კონსტიტუციაში აესახა შრომითი უფლებების დაცვისთვის ქმედითი სახელმწიფო ზედამხედველობის შექმნის საკითხი, მარტო 2017 წლის პირველ ნახევარში, სამუშაო ადგილებზე 18 დასაქმებული დაიღუპა.

კონსტიტუციის ახალ რედაქციაში არც სამართალდამცავთა მიერ წამების და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საკითხი მოხვდა, მაშინ, როდესაც მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება როგორც წესი, არაეფექტიანად მიმდინარეობს. 2016 წელთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში გაზრდილია დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა შესახებ საჩივრების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად დარჩა უსაფრთხოების სისტემების სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმის არარსებობა. 2017 წელს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მასშტაბურ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. თუმცა, 2016 წლის 11 მარტს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებიდან 633 დღის განმავლობაში, არ მომხდარა იმ პირთა იდენტიფიცირება, რომლებმაც ჩანაწერები გაავრცელეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, კვლავ გამოწვევად დარჩა. სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული ხარვეზები ნათლად წარმოაჩინა დეკანოზ გიორგი მამალაძის ბრალდების საქმემ, რომლის როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპები მაღალი საჯარო ინტერესის მიუხედავად, საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე წარიმართა.

2017 წლის 29 მაისს, საღამოს საათებში აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი თბილისის ცენტრიდან გაუჩინარდა. მომდევნო დღეს ის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დააკავეს. სახალხო დამცველის წინადადების ნაწილობრივი გათვალისწინების შედეგად, აღნიშნული საქმე გამოსაძიებლად საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს გადაეცა. თუმცა, დღეს, გამოძიების დაწყებიდან 6 თვის შემდეგ, არ გაქარწყლებულა ეჭვი, რომ საქართველოს სახელმწიფომ თვალი დახუჭა ან გულგრილად მოეკიდა აფგან მუხთარლის გაუჩინარებას.

ხელისუფლებამ ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარი უთხრა თურქ მასწავლებელს მუსტაფა ემრე ჩაბუქს, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით საექსტრადაციო პატიმრობაში იმყოფება. სახალხო დამცველის შეფასებით, თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მუსტაფა ემრე ჩაბუქის თურქეთის რესპუბლიკისთვის გადაცემის შემთხვევაში, ის შეიძლება გახდეს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი.

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ ზემოთაღნიშნულ და სხვა პრობლემებზე მომდევნო თავებში შეჯამებული სახითაა წარმოდგენილი სახალხო დამცველის შეფასებები. შეზღუდული ფორმატის გამო, წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში მიმოხილულ ყველა უფლებას. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტს არ აქვს ყოვლისმომცველობის პრეტენზია. კონკრეტულ საქმეებსა და თემებს, რომლებიც შესწავლის ეტაპზეა, ყურადღება დაეთმობა სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში.

1. ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

პატიმრების მიმართ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით, სახალხო დამცველს საქართველოს პროკურატურისთვის 2017 წელს არ მიუმართავს.

სახალხო დამცველი მიესალმება 2017 წელს პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ ინსტიტუციურ რეფორმას, რომლის ფარგლებშიც პატიმრობის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. დადებითად უნდა შეფასდეს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადების შემცირება, საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულებისთვის წლის განმავლობაში ორი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; ქალი მსჯავრდებულებისათვის, რომლებსაც პენიტენციურ დაწესებულებებში 3 წლამდე ბავშვი ჰყავდათ, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე დღეებში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესაძლებლობის მინიჭება და სხვა.

სახალხო დამცველი ასევე მიესალმება პენიტენციური ჯანდაცვის ორგანიზების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. კერძოდ, სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად, პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების ახალი წესის ამოქმედებას და სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცებას. გარდა ამისა, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის მართვის სისტემის ნორმატიულ დონეზე განსაზღვრას.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელებულ ცვლილებებსაც, რომლითაც პროცედურულ დონეზე შეიცვალა ხელბორკილის რუტი-

ნულად და დაუსაბუთებლად გამოყენების წესი და დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ ვადად 72 საათი განისაზღვრა. მიუხედავად ამისა, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალური ვადის 24 საათამდე შემცირების შესახებ.

სახალხო დამცველი ასევე წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად 120 საათის (5 დღე-ღამე) განსაზღვრას, თუმცა, ამავე დროს, კვლავ მიაჩნია, რომ აუცილებელია მითითებული ჩანაწერები ინახებოდეს არანაკლებ 10 დღის ვადით, ხოლო დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული ჩანაწერები – 1 თვის ვადით. ამასთან, მნიშვნელოვანია, ასეთ ჩანაწერებზე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაუბრკოლებლად მიუწვდებოდეთ ხელი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პოზიტიური ცვლილებებისა, სისტემაში კვლავ რჩება არაერთი პრობლემა და გამოწვევა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა პატიმრების არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს ქმნის და ხშირად ხდება პატიმრებს შორის ძალადობისა და ჩაგვრის მიზეზი. პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგის შენარჩუნების ინტერესი, პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციაში აჩენს ცდუნებას, დაუშვან, და მეტიც, ხელი შეუწყონ დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობის არსებობას. მნიშვნელოვანია, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გააცნობიეროს გამოწვევა, რომელსაც იწვევს დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობა და შეიმუშაოს ამ პრობლემის დაძლევის სტრატეგია.

სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც აიკრძალა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერა, ხანმოკლე და ვიდეოპაემნის მიმდინარეობის დროს დაწესდა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა, მსჯავრდებულებს დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში შეეზღუდათ სასწავლო პროცესში მონაწილეობის და ვიდეოპაემნისა და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება.

პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების ახალი წესის ამოქმედების მიუხედავად, დაზიანებები, ისევე როგორც წინა წლებში, ხარვეზებით აღიწერებოდა და ვერ უზრუნველყოფდა არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიან გამოვლენას და დოკუმენტირებას. უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ექიმის მიერ არასათანადო მოპყრობის გამოვლენის შემთხვევაში, საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეტყობინების გაგზავნის ვალდებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული შემოწმების შედეგები კვლავ ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ბრძანება მწირ ინფორმაციას შეიცავს და შაბლონური ხასიათისაა. საანგარიშო პერიოდში პატიმრობის კოდექსის არც ის დანაწესი შეცვლილა, რომელიც პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას აძლევს შესაძლებლობას, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების შეხვედრას მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან, დააკვირდეს ვიზუალურად, დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, თუმცა მოსმენის გარეშე, რაც სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონს ეწინააღმდეგება.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებთან დაკავშირებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პოლიტიკას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებას, რეაბილიტაციას და შესაბამისად, საზოგადოებაში რეინტეგრაციას. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისათვის დაწესებული შეზღუდვები, როგორც წესი, დაუსაბუთებელია და პატიმრის რისკის ინდივიდუალურ შეფასებას არ ეფუძნება.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, ბრალდებული/მსჯავრდებულის სრული შემოწმების ალტერნატივად სკანერის საშუალებით შემოწმება განისაზღვრა, N5

ქალთა დაწესებულებებში, სკანერი, როგორც შემოწმების ალტერნატიული მეთოდი, ყველა შემთხვევაში არ გამოიყენება. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ქალთა დაწესებულებაში სკანერი გამოიყენება სრულ შემოწმებასთან ერთად და არა როგორც მისი ალტერნატივა. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას.

პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული დანაწესი, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს/მსჯავრდებულს სრული შემოწმება უნდა ჩაუტარდეს პირველად შემოსახლების, დაწესებულების დროებით დატოვებისა და დაბრუნების ყველა შემთხვევაში, ბლანკეტური ხასიათის ნორმაა და სრული შემოწმების რუტინულად და დაუსაბუთებლად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

სახალხო დამცველი მიესალმება 2017 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, თუმცა ზოგიერთი დაწესებულება ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციით, განათებითა და გათბობით, არც სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნებია დაცული. პრობლემურია პატიმრის სეზონის შესაფერისი ტანსაცმლითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგება, სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით სარგებლობა და სასეირნო ეზოების მოწყობა. საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი დარჩა ყველა მსჯავრდებულის 4 m^2 საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პრობლემა.

დახურული ტიპის დაწესებულებებში შეუძლებელია ტელეფონის აპარატებით კონფიდენციალურ გარემოში სარგებლობა.

2017 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო ღონისძიება. პატიმართა გარკვეულ ნაწილს საშუალება მიეცა, მონაწილეობა მიეღო კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, დაუფლებოდა ზოგად/პროფესიულ განათლებას და შეესწავლა სხვადასხვა ხელობა. სარეაბილიტაციო აქტივობების მრავალფეროვნების კუთხით ყველაზე კარგი მაგალითია N16 და N5 დაწესებულებები. თუმცა რეაბილიტაციის კომპონენტის გაძლიერების მიუხედავად, დაწესებულებებში კვლავ რჩება პრობლემები. პენიტენციური დაწესებულებების უმეტესობაში, განსაკუთრებით, დახურული და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, სარეაბილიტაციო აქტივობების სიმწირეა, არსებულ აქტივობებში ასევე დაბალია მსჯავრდებულთა მონაწილეობის მაჩვენებელიც. უცხოელ პატიმრებს ენის ბარიერის გამო უჭირთ კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან, მათ შორის, სოციალურ მუშაკებთან, რის გამოც, სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვას ფაქტობრივად ვერ ახერხებენ.

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა პენიტენციური ჯანდაცვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. კვლავ პრობლემად რჩება სათანადო ფსიქიატრიული დახმარების მიღება. ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა გამოვლენისა და მათთვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებისთვის, ფსიქიატრის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან მათი თანამშრომლობის გაღრმავება. აქვე, სახალხო დამცველი დადებითად აფასებს სუიციდის პრევენციის პროგრამის პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში დანერგვას.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, გასაძლიერებელია სოციალური სამსახურების როლი პატიმართა მხრიდან მოთხოვნა/საჩივრის შეტანის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით. პატიმრებისათვის, საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე ინფორმაცია პატიმრის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, საკნებში კვლავ ხელმიუწვდომელია.

პენიტენციურ დაწესებულებებში მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. ამისათვის აუცილებელია, რომ დაწესებულების პერსონალის ანაზღაურება და სამუშაო პირობები უზრუნველყოფდეს რთული და შრომატევადი სამუშაოს კომპენსირებას. დაწესებულებებში მომუშავე მორიგე ექიმებისა და ექთნების, სანიტრების, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების სამუშაო პირობები რთულია, მათ არ აქვთ სამედიცინო დაზღვევა.

2. ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებში

2017 წელს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პოლიციის სამმართველოებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების ფართომასშტაბიანი მონიტორინგი ჩაატარა. შემოწმების შედეგები ცხადყოფს, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან, შესაძლოა, არაერთ შემთხვევაში ჰქონოდა ადგილი დაკავებისას ძალის გადამეტებას, დაკავებულზე ფიზიკურ ძალადობას და სიტყვიერ შეურაცხყოფას. 2017 წელს პოლიციის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას 10 შემთხვევაში მიმართა. აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წელთან შედარებით გაზრდილია. კვლავ პრობლემად რჩება პატრულ ინსპექტორების სამხრე ვიდეო-კამერების ჩანაწერების წარმოება და შენახვა, რაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. პრობლემურია სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ ჩანაწერების გაკეთება და დაზიანებების სრულყოფილად აღწერა. არსებული დაზიანებები ხანდახან არ არის აღწერილი სამედიცინო ტერმინოლოგიით.

პრობლემებთანაა დაკავშირებული დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაზიანებების „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად დოკუმენტირება. უმეტეს შემთხვევაში არ ხდება დაზიანებების ფოტოგადაღება. მიზეზად, სამედიცინო პერსონალი დაკავებული პირის უარს ასახელებს. გარდა ამისა, ფოტოგადაღების შემთხვევაშიც კი, იზოლატორებში არსებული ფოტოაპარატების ტექნიკური სპეციფიკაციები ვერ უზრუნველყოფს კარგად გარჩევადი გამოსახულების მიღებას, რომელზეც დაზიანება სრულფასოვნად გამოჩნდებოდა. ამასთანავე, არასრულად და ზედაპირულად არის შევსებული დაზიანების შესახებ ინფორმაციაც. „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად, დაზიანებების დოკუმენტირებისას არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად აუცილებელია სამედიცინო პერსონალისათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება და იზოლატორების უკეთესი ხარისხის ფოტოაპარატებით აღჭურვა.

პრობლემას წარმოადგენს სამმართველოებში არსებული ჟურნალების ხარვეზებით წარმოება. მაგალითად, რიგ შემთხვევებში შეუძლებელია იმის დადგენა, როდის დააკავა პირი პოლიციის თანამშრომელმა, გაურკვეველია დაკავებულის სამმართველოში შეყვანის თარიღი/დრო, ასევე, შემდგომში რა ბედი ეწია დაკავებულს. პოლიციის სამმართველოებში/განყოფილებებში არ არის ერთიანი ფორმის ჟურნალი, რომელშიც მოქალაქის, მოწმის, გამოსაკითხი პირის მისვლისა და შენობის დატოვების ზუსტი დრო აღირიცხებოდა.

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაკავების ადრეული ეტაპიდანვე ადვოკატის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა. სახალხო დამცველის შეფასებით, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ყველაზე მაღალი რისკი დაკავების ადრეულ ეტაპზე ჩნდება. შესაბამისად, აუცილებელია საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა საჭირო ზომების მიღება, რათა დაკავებული პირი დაკავების ადრეული ეტაპიდანვე სარგებლობდეს ადვოკატის მომსახურებით.

სახალხო დამცველი მიესალმება სხვადასხვა იზოლატორებში ჩატარებულ, მიმდინარე და დაგეგმილ სარემონტო სამუშაოებს. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოს რეგიონებში არსებულ დროებითი მოთავსების ზოგიერთ იზოლატორში კვლავ პრობლემად რჩება საკნებში ცენტრალური გათბობის, ბუნებრივი განათების და ვენტილაციის, სანიტარული კვანძის სრული იზოლირებისა და ტექნიკური გამართვის საკითხები.

3. ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში

სავალდებულო სამხედრო გაწვევის აღდგენასთან ერთად, თავდაცვის სამინისტრომ სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ ახლებური მიდგომები ჩამოაყალიბა. კერძოდ, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები, საკონტრაქტო მოსამსახურეების მსგავსად, 3 თვის განმავლობაში გადიან

სრულფასოვან საწყის საბრძოლო მომზადებას, ხოლო სამთვიანი ვადის შემდეგ, სამხედრო განწესში ყოფნასთან ერთად, ყოველდღიურად აქვთ საბრძოლო მომზადების საათები, რაც მათ მდგომარეობის მნიშვნელოვანად აუმჯობესებს.

თავდაცვის სამინისტროსგან განსხვავებით, არ შეცვლილა სასჯელაღსრულების სამინისტროს ბადრაგირებისა და გარე დაცვის დეპარტამენტში გაწვეული სამხედრო მოსამსახურეების მდგომარეობა. მათი ძირითადი საქმიანობა კვლავ სასჯელაღსრულების დაწესებულებების პერიმეტრის დაცვაა, რისთვისაც არ უნაზღაურდებათ კვებისა და ტრანსპორტის ხარჯები. გარდა ამისა, სასჯელაღსრულების სამინისტროს სისტემაში გაწვეული სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი პირობები უკიდურესად მძიმეა – ძილი დახეულ ლეიბებზე უწევთ; სასადილოებში ანტისანიტარიაა. დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში არსებული ყაზარმები და საცხოვრებლები.

2017 წლის საანგარიშო პერიოდში სამხედრო ნაწილებში კვლავ მიმართავდნენ დისციპლინური გადაცდომის დროს სავალდებულო, სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო წესდებით გაუთვალისწინებელი ფიზიკური დატვირთვით დასჯის მანკიერ პრაქტიკას. რამდენიმე შემთხვევაში ერთი ჯარისკაცის გადაცდომის გამო ოცეულის მთლიანი პირადი შემადგენლობა, „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“, პრინციპით დაისაჯა.

რიგ სამხედრო ნაწილებში არასათანადო საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი პირობებია. კერძოდ, არ არსებობს კონდიცირების სისტემა, თითქმის ყველა საძინებელ ოთახში, საპირფარეშოსა და საშხაპეში მოშლილია გამწოვი და სავენტილაციო სისტემები. ყველა ქვედანაყოფს აქვს ხელოვნური განათების პრობლემა, რაც ელექტროგაყვანილობის სისტემის გაუმართაობითაა გამოწვეული. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს პირველ, მეორე და მესამე ქვეით ბრიგადებში ინფრასტრუქტურულ და საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებული პრობლემები.

რიგ ქვედანაყოფებში სამხედრო მოსამსახურეები კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, ფაზების მიხედვით სარგებლობენ და არა მათთვის სასურველ პერიოდში და ხანგრძლივობით. ხშირად, სამხედრო მოსამსახურეებს კუთვნილი შვებულების დღეები ნაწილობრივ გამოუყენებელი რჩებათ, რის მიზეზადაც შტატით გათვალისწინებული სამხედრო მოსამსახურეების არასაკმარისი რაოდენობა სახელდება. სამხედრო მოსამსახურეების უმრავლესობა საცხოვრებელი ადგილიდან შორს, სხვა რეგიონში მსახურობს, შესაბამისად, იძულებულია ბინა იქირაოს ან ყაზარმაში იცხოვროს.

4. არასათანადო მოპყრობა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა

2017 წელს, გასული წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სამართალდამცავი ორგანოებისა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის თაობაზე არაერთი განცხადება/საჩივარი შეისწავლა.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება ჭიანურდება და არაეფექტიანად მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას ამ დრომდე არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესაქმნელად, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებს გამოიძიებდა.

2017 წლის ათი თვის მონაცემების მიხედვით, გასულ წელთან შედარებით, ერთი მხრივ, გაიზარდა დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა შესახებ მომართვიანობა, ხოლო მეორე მხრივ, სახალხო დამცველს პენიტენციურ სისტემაში სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე გამოძიების დაწყების წინადადებით არცერთ შემთხვევაში არ მიუმართავს. თუმცა, ციხეებში პატიმართა შორის ძალადობის, თვით-

დაზიანების და საყოფაცხოვრებო ტრავმების რაოდენობა კვლავ მაღალია. თუ 2016 წელს სახალხო დამცველმა პოლიციელების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების წინადადებით 7 შემთხვევაში მიმართა, 2017 წელს, მხოლოდ 10 თვის მონაცემებით, ეს რიცხვი ათამდე გაიზარდა.

მდგომარეობა, არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის კუთხით, გასულ წლებთან შედარებით, გაუმჯობესდა. კერძოდ, თუ წინა წლებში შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება, როგორც წესი, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების (სსკ-ის 333–ე მუხლი) და არა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის (სსკ–ის 144[1]–144[3]) მუხლებით იწყებოდა, საანგარიშო პერიოდში, სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის 10 შემთხვევიდან 4 ფაქტზე გამოძიება სსკ–ის სპეციალური, 144[1]–144[3] მუხლებით დაიწყო. დარჩენილ ექვს შემთხვევაში ჩადენილ ქმედებას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაცია მიეცა. სახალხო დამცველი მიესალმება ამ მიდგომას და სამომავლოდაც ხედავს მისი შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საჭიროებას.

5. პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება

სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს ქვეყანაში არსებული რეპრესიული და არაჰუმანური ნარკოპოლიტიკის მძიმე შედეგებზე და სისტემური ცვლილებების გატარების აუცილებლობაზე, რაც სადამსჯელო ღონისძიებების გატარების ნაცვლად, რესურსების ნარკოდამოკიდებული პირების რეაბილიტაციისა და მკურნალობისაკენ მიმართვას გულისხმობს. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიესალმა ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის საკანონმდებლო წინადადებას, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ლიბერალური და დაბალანსებული პოლიტიკით ჩანაცვლებას.

სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2017 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედებული ცვლილება, რომელიც ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების თავისუფლების არამართლზომიერი შეზღუდვის საფრთხეს ქმნის და აუარესებს მათ სამართლებრივ მდგომარეობას. კერძოდ, ცვლილებების თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების 12-საათიანი ვადის არსებობის მიუხედავად, არასამუშაო დროს დაკავებული პირი დროებითი მოთავსების იზოლატორში შეიძლება მოთავსდეს საქმის განხილვამდე, არაუმეტეს 48 საათისა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ორგანოების არასამუშაო დრო ვერ გაამართლებს დაკავების ვადის გაზრდას და ადმინისტრაციული წესით პირის არაგონივრული ვადით დაკავებას. აქვე უნდა აღინიშნოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით დაწყებული რეფორმის დასრულების აუცილებლობა, რაც გააუმჯობესებს სამართალდამრღვევ პირთა უფლებრივ გარანტიებს.

საანგარიშო პერიოდში აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემთხვევებმა იმატა, მაშინ, როდესაც პატიმრობის გამოყენების სიხშირე გასული წლების განმავლობაში კლებით ხასიათდებოდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, თუ 2016 წლის 9 თვის განმავლობაში პატიმრობა აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობის 28,2% იყო, 2017 წლის იმავე პერიოდში, პატიმრობამ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობის 33,5% შეადგინა. შემცირებულია სხვა არასაპატიმრო ღონისძიებების (გირაოს გარდა) გამოყენების პროცენტული მაჩვენებელიც.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არაერთი განცხადებით მიმართეს საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფმა პირებმა. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ნებისმიერი ტიპის პატიმრობის შეფარდებისას (შიდა, ან/და საექსტრადიციო), სახელმწიფო ვალდებულია, დაასაბუთოს, რატომ არის აუცილებელი პატიმრობა და ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა ალტერნატიული, ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიებით. ამ საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართ-

ლოს, ბრალდებულ ი.ს.-ს საექსტრადიციო პატიმრობის კანონიერებისა და დასაბუთებულობის თაობაზე, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა.

6. სამართლიანი სასამართლოს უფლება

სახალხო დამცველმა საფრთხის შემცველად მიიჩნია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის უფლებამოსილების მინიჭება. საბჭოს საქმიანობის მიმართ საზოგადოებაში არსებული საფუძვლიანი კრიტიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ცვლილება უარყოფითად აისახება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე და მის მიმართ საზოგადოებრივ ნდობაზე.

მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველმა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის არაერთი შემთხვევა შეისწავლა. მათ შორის, მოსამართლის მხრიდან სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევის, სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის პრინციპის დარღვევისა და სხვა ფაქტები. სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, კვლავ გამოწვევად რჩება. მართლმსაჯულების ადმინისტრირების მხრივ, საანგარიშო პერიოდში კვლავ კრიტიკა დაიმსახურა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეების შერჩევა/დანიშვნის პროცესმა. დამოუკიდებელი ინსპექტორი, რომელიც მოსამართლეთა დისციპლინურ გადაცდომებს შეისწავლის, კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევით შეირჩა.

სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული ხარვეზები ნათლად წარმოაჩინა დეკანოზ გიორგი მამალაძის ბრალდების საქმემ, რომლის როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპები მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე წარიმართა.

მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სახალხო დამცველმა შეისწავლა საქმეში არსებული მასალები; აპარატის თანამშრომლები საქმის არსებითი განხილვის ყველა სხდომას ესწრებოდნენ. დეკანოზ გიორგი მამალაძის ბრალდების საქმისადმი არსებული დიდი ინტერესისა და საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა საზოგადოებას „ციანიდის საქმის“ მონიტორინგის ძირითადი მიგნებები გააცნო, რასაც პროკურატურის, სასამართლოს და იუსტიციის სამინისტროს მხრიდან ომბუდსმენის ინსტიტუტზე გაუმართლებელი თავდასხმები მოჰყვა.

სახალხო დამცველმა, სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელთა მიერ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად შეაფასა. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე ბევრად ადრე საჯარო პირთა წინასწარმა განცხადებებმა ხელი შეუწყო გიორგი მამალაძის დამნაშავეობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი განწყობის შექმნას; არაპროპორციული საშუალება იყო სასამართლო სხდომის სრულად დახურვა; ადვოკატებისათვის გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრებამ, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზნებს არ ემსახურებოდა, დაცვის მხარე არათანაბარ პირობებში ჩააყენა. მხარეთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა უფრო თვალსაჩინო იყო იმ ფონზე, როცა საქართველოს მთავარი პროკურატურა საქმეში არსებულ მთავარ მტკიცებულებებსა და მოწმეთა ვინაობას ასაჯაროებდა.

7. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

წინა საანგარიშო წლისგან განსხვავებით, 2017 წელს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მასშტაბურ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. სახალხო დამცველმა კამპანიის „წამმზომი ჩართულია“ ფარგლებში გააგრძელა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი, რომლებიც 2015–16 წლებში პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტებს უკავშირდებოდა. სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა რამდენიმე გახმაურებულ საქმეზე, მათ შორის:

- 2015 წლის 24 და 29 ოქტომბრისა და 2 ნოემბრის აუდიოჩანაწერების გავრცელების საქმე;
- 2015 წლის 17 ოქტომბრის ვიდეოჩანაწერის გავრცელების საქმე;
- 2016 წლის 14 სექტემბრის, 27 სექტემბრისა და 3 ნოემბრის აუდიოჩანაწერების გავრცელების საქმე.

უცნობია ფარული ჩანაწერების 26 ათასი ფაილის საქმეებიდან რამდენზე იქნენ ცნობილი ბრალდებული და დაზარალებული პირები; დადგა თუ არა გამამტყუნებელი ან/და გამამართლებელი განაჩენები.

აღნიშნული ტენდენციიდან გამონაკლისს წარმოადგენს 2016 წელს გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების საქმე. პროკურატურამ რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი ჩანაწერების უკანონო მოპოვების, ხოლო რამდენიმე კერძო პირი ჩანაწერების შენახვის ბრალდებით დააკავა. თუმცა, ამ დრომდე არ მომხდარა იმ პირთა იდენტიფიცირება, რომლებმაც ჩანაწერები გაავრცელეს.

2016 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელი ნორმები. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პასუხად საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 22 მარტს მიიღო კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ოპერატიულ–ტექნიკური სააგენტოს შესახებ“, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ოპერატიულ–ტექნიკური სააგენტო. სახალხო დამცველის აზრით, საკანონმდებლო ცვლილებები არ შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვინაიდან იგი არ უზრუნველყოფს სააგენტოს საკმარის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან და ადამიანის პირადი ცხოვრების აბსოლუტურად ხელშეუხებელ სფეროში ჩარევის მაღალ რისკს ქმნის.

8. რელიგიის თავისუფლება

2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პოლიტიკური სუბიექტების მიერ ნაწარმოები საარჩევნო კამპანია ყველაზე ნაკლებად გამოირჩეოდა რელიგიური რიტორიკითა და მანიპულაციებით.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ძალადობის მხოლოდ სამი შემთხვევის შესახებ მიმართეს, რაც მსგავსი დანაშაულების კლების ტენდენციაზე მიუთითებს. თუმცა წინა წლებში გამოვლენილი ძალადობის ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით, პრობლემა დაძლეული არ არის, ძველი საქმეები უმეტესწილად კვლავ გამოუძიებელია.

საანგარიშო პერიოდში არ გადაჭრილა რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების დაბრუნების საკითხი. სახალხო დამცველი წლებია ითხოვს

თანასწორი საგადასახადო რეჟიმის შემოღებას და თანაბარ მიდგომას რელიგიური გაერთიანებების მიმართ, რომლებიც საბჭოთა პერიოდის დროს მიღებული ზიანის მიუხედავად, სახელმწიფოს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლად არ უღიარებია.

მიმდინარე წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ეგიდით მოქმედმა ე.წ. მოხეს კომისიამ ვერ მოახერხა მოხეს ისტორიული მეჩეთის წარმომავლობის დადგენა. შესაბამისად, ადგილობრივ მუსლიმ თემს მოხეს მეჩეთის გადაცემის სანაცვლოდ, მეჩეთის აშენება იმავე სოფელში სხვა ტერიტორიაზე შესთავაზეს. სასამართლო გადაწყვეტილების მიუხედავად, საკუთრებაში მყოფ მიწაზე ტაძრის მშენებლობის შესაძლებლობა არ მიეცა კათოლიკე ეკლესიას რუსთავში, რომელსაც ეკლესიის ასაშენებლად ასევე შესთავაზეს სხვა ტერიტორია. მიმდინარე წელს, კვლავ გადაუჭრელი დარჩა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი.

9. ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის შესახებ

სახელმწიფო ენის ეფექტური სწავლება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მართალია, საჯარო მოხელეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის რეგიონული ცენტრებში ჰქონდათ ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობა, მაგრამ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ჯერ კიდევ გადაუჭრელია სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი.

გასული წლების საპარლამენტო მოხსენებებში სახალხო დამცველმა არაერთხელ გაუსვა ხაზი ბილინგვური სწავლებისა და სახელმძღვანელოების შემოთავაზებული მოდელით სწავლების არაეფექტურობას, რაც სამინისტრომ გაიზიარა, მაგრამ სწავლება ჯერჯერობით კვლავ ძველი სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. განათლების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, ახალი ბილინგვური მოდელის დანერგვისა და შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნისთვის ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

2016 წლის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა განათლების სამინისტროს, სახელმძღვანელოების გრიფირების წესით მკაფიოდ განსაზღვრულიყო სასკოლო სახელმძღვანელოებში მრავალფეროვნების ასახვის მოთხოვნა და მის შესრულებაზე დაწესებულიყო შესაბამისი კონტროლი. განათლების სამინისტრომ რეკომენდაცია გაიზიარა. ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა და გრიფირების პროცესი 2018 წლის გაზაფხულზე უნდა დასრულდეს. სახალხო დამცველის კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელსაც განათლების სამინისტრო დაეთანხმა, საქართველოს სომხური და აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენის სახელმძღვანელოების საქართველოში შედგენას და გამოცემას ეხება.

2015 წელს სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე დაწყებული ეთნოგრაფიულ მუზეუმში არსებული ე.წ. „ოსური სახლის“ რესტავრაცია 2017 წელს დასრულდა. საანგარიშო პერიოდში ასევე მიმდინარეობდა თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სამწუხაროდ, 2017 წლის ბოლოსთვის კვლავ გადაუწყვეტელია ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული დრამატული თეატრისა და ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანილი ძეგლთა ნაწილის რეაბილიტაციის საკითხი, რომელთაგან ზოგიერთი ავარიულ მდგომარეობაშია.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეროვნული უმცირესობები ძირითადად ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოში იქნებიან წარმოდგენილი. განსხვავებით დედაქალაქის საკრებულოსგან, სადაც, ისევე, როგორც წინა წლებში, ამჟამადაც არცერთი წევრი არ არის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი. ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი მონაწილეობა დედაქალაქის თვითმართველობაში კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად.

2017 წელს პრობლემად დარჩა საქართველოში და საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ეროვნული უმცირესობების სრულფასოვნად ინფორმირებულობა. მისასალმებელია საზოგადოებრივი მაუწყებლის ძალისხმევა ეროვნული უმცირესობების ენაზე თარგმნოს საინფორმაციო გამოშვებები; ასევე, რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის ინიციატივა, რეგიონული ტელევიზიების საშუალებით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გადასცეს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სინქრონულად ნათარგმნი მოამბე. თუმცა, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ეროვნული უმცირესობებისთვის სრულფასოვნად მიწოდება სახელმწიფოს მხრიდან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. ამ ფონზე მისასალმებელია 2017 წლის ნოემბერში სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის მიმდინარე კონსულტაციების შედეგად, ეროვნული უმცირესობების ინფორმირებისა და ეროვნული უმცირესობების შესახებ უმრავლესობის ინფორმირების მიზნით, სპეციალური მედია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება, რომლის შესრულებაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა თავისი საქმიანობის პრიორიტეტად გამოაცხადა.

10. გამოხატვის თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინტერესის საგანი იყო საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე მოვლენები. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ხელმძღვანელობის ხედვა, რომელიც გადაცემების დახურვას ითვალისწინებდა მათი რეიტინგიდან გამომდინარე, არ იყო საკითხის სრულფასოვან შესწავლაზე დაყრდნობილი გადაწყვეტილება და კითხვებს ბადებდა რეფორმის მთელი პროცესის მიმართ.

საანგარიშო პერიოდში ეროვნულ დონეზე დასრულდა „რუსთავი 2“–ის საქმის განხილვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით, ტელეკომპანიის წილი სრულად მიეკუთვნა ქიბარ ხალვაშსა და მისსავე მფლობელობაში არსებულ კომპანიას. საკასაციო სასამართლომ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა. მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანიის ორმა დამფუძნებელმა ჯერ კიდევ 2012 წელს მიმართა პროკურატურას, სამართლებრივად ამ დრომდე არ შეფასებულა, თუ როგორ გახდა ქიბარ ხალვაში თავის დროზე „რუსთავი 2-ის“ მესაკუთრე. დღეის მდგომარეობით, საქმეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს, რომელმაც შეაჩერა უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

განსაკუთრებული საზოგადოებრივი ყურადღების ქვეშ მოექცა „ბირჟა მაფიას“ საქმე. ეჭვები გაჩნდა რეპერების მუსიკალური კლიპის გამო დაკავებასთან დაკავშირებით, რომელშიც პოლიციელის ფორმაში ჩაცმულ პერსონაჟს ერთ მონაკვეთში ძაღლის საყელური ეკეთა. რეპერების დაკავება ოჯახის წევრებმა თავიდანვე დაუკავშირეს მუსიკალურ კლიპს. მოგვიანებით, სასამართლო პროცესზე იგივე დაადასტურეს ბრალდებულებმაც, რომლებიც პატიმრობიდან მხოლოდ გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. სახალხო დამცველის შეფასებით, კლიპის შინაარსი და გამოყენებული ვიზუალი გამოხატვის თავისუფლებით სრულად იყო დაცული. რეპერების მუსიკალური კლიპის დაკავების გამო გაჩენილი ეჭვის გაუქარწყლებლობის ფონზე, მნიშვნელოვანია საქართველოს პროკურატურის მიერ, პოლიციელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მტკიცებულებების ფალსიფიკაციის შესაძლო ფაქტის დროულად და ეფექტიანად გამოძიება.

11. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

2017 წლის განმავლობაში მოქალაქეები ძირითადად ახერხებდნენ მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობას, თუმცა იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ხელისუფლებამ უკანონოდ შეზღუდა შეკრების მონაწილეთა თავისუფლება.

საანგარიშო პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც პოლიციელები აქციის მონაწილეებს ხელს უშლიდნენ კარვის, დასადგამი ქოლგის, სკამის და ბანერების გამოყენებაში. სახალხო დამცველმა

ასეთი ფაქტები შეკრების თავისუფლების უკანონო შეზღუდვად შეაფასა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან აღნიშნულს რაიმე რეაგირება არ მოჰყოლია.

მოქალაქეთა პროტესტი, რომელიც ბათუმში 11 მარტს მანქანის არასწორი პარკირებისათვის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებსა და მოქალაქეებს შორის სიტყვიერი შელაპარაკების საფუძველზე დაიწყო, ძალიან სწრაფად გასცდა მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და გადაიზარდა დაპირისპირებაში, რომელსაც ძალადობა, ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება და ქონების განადგურება მოჰყვა შედეგად. სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნულ პროცესში სამართალდამცავთა რეაგირება დაგვიანებული იყო.

12. თანასწორობის უფლება

დისკრიმინაციასთან ბრძოლა საქართველოში კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. არასაკმარისი საკანონმდებლო გარანტიები, საზოგადოებაში არსებული მცდარი შეხედულებები და სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების სიმწირე, ყოველდღიურ რეჟიმში, უარყოფითად აისახება დაუცველ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს 2015 წლის თებერვალში მიმართა საკანონმდებლო წინადადებით, რომლითაც პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული ცვლილებები იყო გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო წინადადების ინიცირება 2015 წლის ოქტომბერში მოხდა, პარლამენტი კანონპროექტის განხილვას აღარ დაბრუნებია.

საკანონმდებლო ხარვეზების გარდა, პრობლემურია ცალკეული ჯგუფების მიერ თანასწორობის უფლებით პრაქტიკაში ეფექტიანი სარგებლობა. როგორც საკითხის შესწავლამ გამოავლინა, ყველაზე დაუცველ ჯგუფებს შორის კვლავ არიან ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მათ შორის, ბავშვები), ლგბტ თემი და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები.

ქალების მიმართ დისკრიმინაცია ვლინდება ძალადობის შემთხვევებზე არასათანადო რეაგირებისას, როდესაც მსგავსი შეტყობინებები სამართალდამცავთა მიერ არასაკმარისად სერიოზულად აღიქმება. საანგარიშო პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დასაქმებულ ქალთან შრომითი ურთიერთობა აღარ გრძელდება მისი ორსულობის გამო. მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე, თუმცა დისკრიმინაციის ამ ფორმის დადგენის მოთხოვნით სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა დაბალია, რაც განპირობებულია სექსუალური შევიწროების ფარული ხასიათით და მსხვერპლის სტიგმატიზაციის შიშით.

შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე სახალხო დამცველმა ყველაზე მეტ შემთხვევაში მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას ან დისკრიმინაციის წახალისებას, რამდენადაც ამ ჯგუფის სპეციფიური საჭიროებები სოციალური ცხოვრების თითქმის არც ერთ სფეროში არ არის სრულყოფილად გათვალისწინებული. პრობლემურია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მიერ ინკლუზიური განათლებით სარგებლობა, არასრულყოფილია კანონმდებლობა, არასათანადოდ არის გააზრებული სპეციალური მასწავლებლის როლი ამ პროცესში და ზოგიერთ სკოლაში მათი არასაკმარისი რაოდენობაა. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებსა და მათ მშობლებს მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება მძღოლის და მგზავრების აგრესიის ფონზე უწევთ, ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოება ვერ აცნობიერებს, რომ აუტიზმის მქონე ბავშვის ქცევა შესაძლოა რთულად სამართავი იყოს. დისკრიმინაციას ექვემდებარებიან საჯარო სექტორში დასაქმებული მნიშვნელოვნად (გარდა მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა) და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რამდენადაც ისინი, კერძო სექტორში დასაქმებული ამავე შეზღუდვის მქონე პირებისგან განსხვავებით, ვერ სარგებლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებით.

რელიგიური უმცირესობები საქართველოში კვლავ აწყდებიან დაბრკოლებებს. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხილული საქმეების შინაარსიდან ირკვევა, რომ საქართველოს რიგ საჯარო სკოლებში, ზოგადი განათლების უფლების რეალიზაციის დროს, ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა რელიგიური იდენტობის გამოხატვის შეზღუდვებს; ასევე, სასკოლო განათლების პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა თუ იძულებითი ასიმილაციის მიზნით გამოყენების შემთხვევებს. ერთ-ერთი შემთხვევა შეეხება ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მომხდარ ფაქტს, როდესაც სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მუსლიმ მოსწავლე გოგონას სკოლაში მისი ჩარიცხვის პირობად ქალის ტრადიციული მუსლიმური თავსაბურავის (ჰიჯაბის) სკოლის შენობაში ტარებაზე უარის თქმა მოსთხოვა, რაც, თავის მხრივ, სკოლის მუსლიმ მოსწავლეთა პროტესტის საფუძველი გახდა. აღნიშნული ფაქტის პარალელურად, წინააღმდეგობრივ ფონზე მიმდინარეობდა სოფელში მუსლიმური სალოცავის მშენებლობის საკითხის განხილვა. ამასთან, მუსლიმი თემი ვერ სარგებლობს ქობულეთში იჯარით აღებული შენობით, რამდენადაც ადგილობრივი მოსახლეობა ხელს უშლის შენობის წყლის სისტემაზე მიერთებას. ამასთან, გვხვდება შემთხვევები, როდესაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას მუსლიმ პირებს პრობლემები ექმნებოდათ - მათ აყოვნებდნენ საზღვარზე, ინტერესდებოდნენ მათი მოგზაურობის მიზეზით, თურქეთის რესპუბლიკასთან კავშირითა და სხვა მუსლიმ პირებთან ურთიერთობებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტზე რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ „შემოსავლების სამსახურს."

ერთ-ერთი სფერო, რომელშიც, სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს ყველაზე ხშირად აქვს ადგილი, წინასახელშეკრულებო და შრომითი ურთიერთობებია. ფართოდ გავრცელებულია დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველი ვაკანსიის შესახებ განცხადებები, რომლითაც დამსაქმებლები „სასიამოვნო გარეგნობის მქონე", „18-დან 25 წლამდე", „დაუოჯახებელ" გოგონას ეძებენ. ასევე, სახალხო დამცველის აპარატისადმი მომართვიანობით გამოიკვეთა პოლიტიკური და განსხვავებული მოსაზრების გამო შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები სკოლებში, ბაღებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა განსხვავებული შეხედულებისა და პროფესიულ კავშირში საქმიანობის გამო დისკრიმინაციის ორი შემთხვევა გამოავლინა.

კვლავ გამოწვევად რჩება სავარაუდოდ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტური გამოძიება. სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეები ეხება რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის თუ სხვა დაცული ნიშნის საფუძველზე ჩადენილ, სავარაუდოდ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს. ამგვარი საქმეები მოიცავს სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებს, რომელზეც გამოძიების მიმდინარეობისას სიძულვილის მოტივი არ გამოიკვეთა, შემდეგ კი გამოძიება გაგრძელდა ან შეწყდა; საქმეებს, რომელზეც გამოძიება, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, არ დაწყებულა და საქმეებს სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ დისკრიმინაციული მოტივით განხორციელებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებზე.

თანასწორობის უფლების დაცვის კუთხით ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საჯარო პირების მხრიდან გაკეთებული დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამები. იმ ფონზე, როდესაც დღეს კვლავ მყარადაა გამჯდარი უარყოფითი განწყობები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების მიმართ, საჯარო პირების მიერ დისკრიმინაციული გამონათქვამების და მოსაზრებების დაფიქსირება დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში უკან გადადგმული ნაბიჯია.

13. საკუთრების უფლება

რიგი პრობლემები იჩენს თავს საკუთრების უფლების მიმართულებითაც. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის, საჯარო რეესტრის მონაცემების დაზუსტებისა და ხარვეზების აღმოფხვრის, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ე.წ. ქაღალდის ვერსიების სისტემატიზაციისა და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის პროცესი, სამწუხაროდ, კვლავ არ დასრულებულა.

კვლავ პრობლემურია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების მიმართ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების საკითხი. სხვადასხვა უწყების მიერ ამ დრომდე განხორციელებული აქტივობა ეფექტიანად ვერ ჩაითვლება. შესაბამისი რეგულაციების არარსებობის პირობებში, ბუნდოვანია, რა კრიტერიუმებით ირჩევიან პირველ რიგში დასაკმაყოფილებელი დაზარალებულები. აუცილებელია არსებული ვალდებულების შესრულების ერთიანი წესის შემუშავება, რომელიც ვალდებულებების შესრულების ფორმას და ვადებს დეტალურად დაარეგულირებდა.

14. 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები

სახალხო დამცველის წარმომადგენლები მთელი დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ 2017 წლის 21 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს საქართველოს 64 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში.

არჩევნებმა ძირითადად მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა. ცალკეული დარღვევები მეტწილად საარჩევნო კომისიის წევრების არასათანადო მომზადებით იყო გამოწვეული. კერძოდ, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს საარჩევნო უბნების დაგვიანებით გახსნის, კომისიის მიერ საჩივრის დარეგისტრირებაზე უარის თქმის, საკონტროლო ფურცლების არასწორად შევსების, საკონტროლო ფურცლის საარჩევნო ყუთში ჩაგდების გარეშე კენჭისყრის პროცესის დაწყების, საარჩევნო უბნის ბეჭდის დაკარგვის, სადემონსტრაციო ოქმების არასწორად შევსების, რეგისტრატორების მიერ ბიულეტენებზე წინასწარ ხელის მოწერის, მართვის მოწმობით ხმის მიცემის, საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის მობილიზების შემთხვევები, მაშინ, როდესაც არ არსებობდა საარჩევნო კოდექსით გათვალიწინებული აუცილებლობა.

სამართალდამცავებმა სათანადო რეაგირება მოახდინეს მარნეულის ქვემო სარალის N58 უბანზე მომხდარ ფიზიკური დაპირისპირების ფაქტზე.

15. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება

კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით სახალხო დამცველის მიერ გამოვლენილი პრობლემები საანგარიშო პერიოდში არ გამოსწორებულა. სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, ცვლილებები არ განხორციელებულა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა რელიგიურ კონფესიებს მათ საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული კულტურული ძეგლის მოვლა-პატრონობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას, შესაბამისი დასკვნის მოთხოვნით, გასული წლების მსგავსად, კვლავ არ მიმართავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა კიდევ ერთი საყურადღებო საკითხი, კერძოდ, თბილისის მუნიციპალიტეტზე უფლებამოსილებების სრულად დელეგირების მიზეზით, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო დედაქალაქში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ უკანონოდ განხორციელებულ საქმიანობაზე მაშინაც კი არ რეაგირებს, როდესაც სრულმასშტაბიანი დელეგირების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, საქართველოს კანონმდებლობა კი სააგენტოს რიგ უფლებამოსილებებს ანიჭებს.

16. შრომის უფლება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის პირველ ნახევარში, სამუშაო ადგილებზე 18 დასაქმებული დაიღუპა, 34 კი – დაშავდა. საგანგაშო მდგომარეობის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემა იყო შრომით უფლებებსა და შრომის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი ეფექტიანი მექანიზმის არარსებობა. ამჟამად საქართველოს პარლამენტი განიხილავს შრომის უსაფრთხოების კანონპროექტს, რომელიც მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოებით შემოიფარგლება. დოკუმენტის მიხედვით, ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილი იქნება წელიწადში ერთხელ, შერჩევითი კონტროლით, წინასწარი ნებართვის გარეშე შეამოწმოს საწარმოები, სხვა შემთხვევაში კი შემოწმება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე შეეძლება. კანონპროექტის სხვა ხარვეზებს შორის განსაკუთრებით პრობლემურია კანონის მოქმედების უკიდურესად ვიწრო სფერო და მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელთა დამსაქმებლებთან დაშვების საკითხი. მნიშვნელოვანია, კანონის მოქმედება ყველა დასაქმებულზე ვრცელდებოდეს, მაკონტროლებელ ორგანოს კი, ყველა ობიექტის დაუბრკოლებელი შემოწმების შესაძლებლობა წინასწარი თანხმობისა და მოსამართლის ბრძანების გარეშე ეძლეოდეს.

განსახილველ პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების შესწავლამ, საჯარო დაწესებულებებიდან თანამშრომელთა კანონიერი საფუძვლის გარეშე გათავისუფლებისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის შემთხვევები გამოავლინა. პრობლემად რჩება ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის საკითხი დასაქმებული კაცებისთვის. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამის ბრძანებაში, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კანონთან, ამ დრომდე არ ასახულა ცვლილებები, რაც კაცებს ხელს უშლის ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობაში.

17. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება

გარემოს დაცვის სფეროში 2017 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი და დადებითი ცვლილება იყო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება, რომლითაც კანონმდებლობაში არსებული არაერთი ხარვეზი გამოსწორდა. ასევე აღსანიშნავია ხმაურის რეგულირების კუთხით კანონში შეტანილი ცვლილებები. თუმცა, არსებული ვითარების რეალურად გამოსასწორებლად, მნიშვნელოვანია კოდექსის დებულებების სრულყოფილად აღსრულება.

პრობლემად რჩება საზოგადოების მონაწილეობის დაბალი დონე გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სპეციალური ზონალური შეთანხმებების (განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზრდა) დაუსაბუთებლად მიღების ფაქტები, სამშენებლო კანონმდებლობის რიგი დებულებები და პროცედურები, რომლებიც ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნას ვერ უზრუნველყოფს. საანგარიშო პერიოდში მწვავედ იდგა ჰაერის დაბინძურებისა და მწვანე საფარის შენარჩუნების პრობლემებიც.

18. ჯანდაცვის უფლება

ხარვეზები ახლავს ჯანდაცვის უფლების რეალიზებასაც. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა სრულად ხელმისაწვდომი არ არის იმ პირებისათვის, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო სქემებში იყვნენ ჩართულნი. ეს შეზღუდვა, რომელიც ტექნიკური ხასიათისაა და ფიქსირებულ თარიღს უკავშირდება, დაუსაბუთებელია და გადახედვას საჭიროებს.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილმა საქმეებმა ხარვეზები გამოავლინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მუშაობაში. ეს შეეხება შეტანილი საჩივრების

განხილვის გაჭიანურებასა და საჩივრის ავტორებისთვის ზეპირი მოსმენის სხდომაზე დასწრების აკრძალვას, რაც მათ ართმევს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობას.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს 2017 წელს თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს. აქვე, უარყოფითად უნდა აღინიშნოს 2 თვის შემდეგ ხელახალი ცვლილების შეტანა კანონში, რამაც რამდენიმე დებულების ამოქმედება 5 წლით გადაავადა. იმედია, აღნიშნული ტენდენციის სახეს არ მიიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება თამბაქოს მავნე ზემოქმედებისგან საქართველოს მცხოვრებთა, მათ შორის არასრულწლოვანთა დაცვას.

19. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე, დაამტკიცა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტები, რაც სახალხო დამცველის აზრით, გააუმჯობესებს ბავშვის უფლებების კუთხით არსებულ ვითარებას. თუმცა, მიუხედავად საკანონმდებლო სივრცის მოწესრიგებისკენ მიმართული პოზიტიური ნაბიჯებისა, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა შემაშფოთებელია.

2017 წლის 10 თვის მონაცემებით, სახალხო დამცველმა როგორც მომართვის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით, ბავშვის უფლებების დარღვევების შესახებ 426 საქმე შეისწავლა. მათი უმრავლესობა ბავშვის მიმართ ძალადობას, სიღარიბესა და არასათანადო სოციალურ მდგომარეობას, ასევე ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საკითხებს შეეხებოდა.

საანგარიშო პერიოდში კვლავ მაღალი იყო ოჯახში, სამზრუნველო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის მაჩვენებელი. პრობლემად რჩება როგორც ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენა, ასევე, რეაბილიტაციის და ძალადობისგან დაცვის ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება. სახალხო დამცველის შეფასებით, ბავშვის მიმართ ძალადობის მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია საზოგადოებაში დამკვიდრებულ მცდარ შეხედულებებთან აღზრდის მეთოდების შესახებ, ასევე, ბავშვის ინტერესებისა და უფლებების უგულებელყოფის გავრცელებულ ტენდენციასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი რეკომენდაციის, მათ შორის, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში აღებული ვალდებულების მიუხედავად, კვლავ არ მომხდარა ბავშვის ფიზიკური დასჯის აკრძალვა საკანონმდებლო დონეზე.

საქართველოს სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში, 2016–2017 სასწავლო წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხი პირველად შემოწმდა. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მთელი საქართველოს მასშტაბით 109 საჯარო და კერძო სკოლა და სკოლა პანსიონი შეამოწმეს. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კვლავ გამოწვევად რჩება მოსწავლეთა დაცვა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და არასათანადო მოპყრობისაგან; ხშირია ბავშვის მიმართ როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის შემთხვევები უფროსების, ასევე, თანატოლების მხრიდან; ბულინგი არასრულწლოვანთა შორის ურთიერთობის ფართოდ გავრცელებული ფორმაა; სუსტია მოსწავლეთა ცოდნა თავიანთი უფლებების შესახებ; დაბალია პასუხისმგებელ პირთა ინფორმირებულობის დონე ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების მექანიზმებთან დაკავშირებით.

2017 წლის ივლისის თვის მდგომარეობით 200–ზე მეტი საჯარო სკოლა ავარიულ მდგომარეობაშია. 2016 წელს ავარიულ მდგომარეობაში ფუნქციონირებდა 209 საჯარო სკოლა, მათგან 42 არ ექვემდებარებოდა აღდგენა–გამაგრებით სამუშაოებს. აღნიშნული მდგომარეობა გამორჩეულად პრობლემურია მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლად მდებარე საჯარო სკოლებში. სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიხედვით, აუცილებელია, გაუმჯობესდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და განახლდეს სასწავლო ინვენტარი. ამ მხრივ, მომეტებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში მდებარე სკოლებში არსებულ მდგომარეობაზე.

გადაუჭრელ საკითხთა შორისაა ბავშვთა სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამებში ჩართვა და განსაზღვრული მომსახურების მიღების პროცესი გაჭიანურებულია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ამ პროგრამების ეფექტიანობას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის საკითხი, რადგან პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან განხორციელებული რეაგირება ხშირად არ არის ეფექტიანი და დროული.

საქართველოს სახალხო დამცველი 2016–2017 წლების განმავლობაში სწავლობდა საქართველოს ბაზარზე სათამაშოების უსაფრთხოების საკითხს. გამოვლინდა, რომ აღნიშნული სფერო საკანონმდებლო დონეზე არ არის რეგულირებული და არ არსებობს კონტროლის მექანიზმი. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გატარდეს ეფექტური ღონისძიებები „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ ევროკავშირის დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვის კუთხით, რომელიც სახელმწიფომ 2019 წლის 1 სექტემბრამდე უნდა შეასრულოს. შესაბამისად, სახელმწიფომ გონივრულ ვადებში უნდა მოაწესრიგოს საკანონმდებლო ბაზა სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ.

აუცილებელია გამოიყოს არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო წყლის ხელმისაწვდომობის საკითხი. შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვთა განთავსების ინსტიტუციებში, თემსა თუ რეგიონებში სანიტარული და ჰიგიენური პირობების დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. რიგ შემთხვევებში გამართულად არ ფუნქციონირებს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა, არ არსებობს წყლის ხელმისაწვდომობასა და ხარისხის კონტროლის ეფექტური მექანიზმი.

2017 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა, პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან ერთად, შეამოწმა მცირე საოჯახო და რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფი ბავშვთა სახლების ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა. ამ მხრივ, საყურადღებოა იმ რელიგიური სახლების სამზრუნველო საქმიანობის განხორციელების ჰარმონიზაცია ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების ტექნიკურ რეგლამენტთან, ვინც სახელმწიფო ლიცენზია უკვე მიიღო. კვლავ პრობლემად რჩება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონებში ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების იმპლემენტაცია და არასრულწლოვნების აღზრდა ოჯახთან მიახლოებულ გარემოში. სოციალური მომსახურების სააგენტოს არასაკმარისი ჩართულობა ბავშვებზე ზრუნვის პროცესში სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ძირითადად შექმნილია ოჯახთან მიახლოებული გარემო, მაინც სრულად არ არის უზრუნველყოფილი ბენეფიციართა ემოციური და სოციალური განვითარება; დაბალია არასრულწლოვანთა მოტივაცია მიიღონ შესაბამისი განათლება, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ სათანადო მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის; კვლავ პრობლემად რჩება ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება.

20. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა

2017 წელს „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის რატიფიცირებით სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით. კონვენციამ გააფართოვა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები. თუმცა, საკანონმდებლო დონზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების მიუხედავად, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის რეაგირებას საჭიროებს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წლის 1 იანვრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით გამოძიება დაიწყო ქალთა მკვლელობის 22 ფაქტზე (მათ შორის, 13 ფაქტი ოჯახური დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა) და ქალთა მკვლელობის მცდელობის 11 ფაქტზე (მათ შორის, 8 ფაქტი ოჯახური დანაშაულის ნიშნებით). უკანასკნელი წლების განმავლობაში გენდერული ნიშნით ქალთა გახშირებული მკვლელობის ფონზე, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ყოველწლიურად მოამზადოს და წარმოადგინოს ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში. აღნიშნული მონიტორინგის განხორციელება ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციასაც წარმოადგენდა.

მიმდინარე წელს კვლავ არადამაკმაყოფილებელია სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის რისკის შეფასება და გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების მონიტორინგი. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისაკენ მიმართული ღონისძიებები ნაკლებად ეფექტიანია, რაც განპირობებულია ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის გამართული სისტემის არარსებობით. შედეგად, კვლავ მოსაწესრიგებელია მოძალადეთა ქცევის კორექციის, მოძალადეთა განრიდებისა და ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხები.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამუშავებულ მონაცემებს, რომელიც მოიცავს ძალადობის ფორმებს. საქართველოს მასშტაბით, ოჯახური კონფლიქტის/ძალადობის შესახებ სსიპ 112–ში 9616 შეტყობინება შევიდა, ყველაზე მეტი თბილისიდან (4 436 შეტყობინება), ხოლო ყველაზე ნაკლები - რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონიდან (23 შეტყობინება). 2017 წლის 6 თვის მანძილზე გამოიცა 1845 შემაკავებელი ორდერი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, 2017 წლის 1 იანვრიდან აიკრძალა 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაცია, რაც მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციისთვის. მიუხედავად ამისა, პრობლემად რჩება არასრულწლოვანთა ფაქტობრივი თანაცხოვრება და ნიშნობის პრაქტიკა. თუმცა, წინა წლების მონაცემებთან შედარებით, შემცირებულია არასრულწლოვანი დედების სტატისტიკა: სერვისების განვითარების სააგენტომ 2017 წლის 6 თვის მანძილზე 382 არასრულწლოვანი დედა და 14 არასრულწლოვანი მამა დაარეგისტრირა.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ ქალთა თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით მიღწევები არ გვაქვს. მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული თვითმმართველი ორგანოების წევრთა მხოლოდ 7.62%-ს წარმოადგენენ ქალები, ხოლო 54 თვითმმართველი ერთეულის არჩეული მერიდან მხოლოდ ერთია ქალი, რაც კრიტიკულად დაბალი მაჩვენებელია და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დასაბალანსებლად სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი ჩარევის საჭიროებაზე მეტყველებს.

პრობლემები რჩება ქალთა შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით. სექსუალური შევიწროება, როგორც სამუშაოს შესრულებისას, ისე საჯარო სივრცეში, საკანონმდებლო რეგულირების მიღმაა დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის ხელმოწერით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, სექსუალური შევიწროება დასჯადი გახადოს როგორც სამუშაო ადგილას, ისე საჯარო სივრცეში, საქართველოს ეს ვალდებულება ამ დრომდე არ შეუსრულებია.

დაურეგულირებელია ბავშვის მოვლის შვებულების საკითხი და ის კვლავ ექსკლუზიურად ქალის პასუხისმგებლობის სფეროდ მოიაზრება. შედეგად, არ ხდება ზრუნვის ტვირთის თანაბარი განაწილება, რაც აფერხებს ქალთა თანაბარ ეკონომიკურ მონაწილეობას. კვლავ დაურეგულირებელია მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი, ხოლო მარტოხელა მშობლის სტატუსი, მინიჭების წესში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო, ამ დრომდე მხოლოდ ქალებს ენიჭებათ.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით არსებული ცნობიერების დონე დაბალია. პრობლემად რჩება სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობისა და რეპრო-

დუქციული ჯანმრთელობის საკითხების გათვალისწინება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 2017 წელს ანტი-გენდერული ჯგუფების გააქტიურება, რომლებიც ზოგადად ეწინააღმდეგებიან გენდერული თანასწორობის იდეას.

ამ ტენდენციის ფონზე, 2017 წელს, სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა რამდენიმე განცხადება, რომელიც შეეხებოდა ქალ და ლგბტ+ უფლებადამცველთა მიმართ ძალადობის მუქარის ფაქტებს. სახელმწიფოში ამ დრომდე არ არსებობს ქალ და ლგბტ+ უფლებადამცველთა მიმართ მომატებული ძალადობის რისკის შეფასებისა და მისგან დაცვის მექანიზმები, რაც ართულებს უფლებადამცველთა საქმიანობას.

21. ლგბტიქ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

ლგბტიქ თემის წარმომადგენლები ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია, რომლის წევრებიც დისკრიმინაციას საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აწყდებიან. ლგბტიქ ადამიანები თავს დაცულად ვერ გრძნობენ ისეთი მნიშვნელოვანი უფლებებით სარგებლობისას, როგორიცაა განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ორგანოებისადმი უნდობლობის და საზოგადოების მხრიდან სტიგმატიზაციის შიშის გამო, მათ მიმართ განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციული ფაქტების გასაჯაროებას ხშირ შემთხვევაში ერიდებიან.

საზოგადოებაში ფესვგადგმული ნეგატიური სტერეოტიპული განწყობები აქეზებს ლგბტიქ თემის მიმართ შეუწყნარებლობასა და ძალადობას. სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა 2017 წლის 25 აგვისტოს ბათუმში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ლგბტიქ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციის - ააიპ „თანასწორობის მოძრაობის“ წევრების ლ.ბ.-ს და თ.კ.-ს სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის ფაქტს. განცხადებაში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ძალადობისა და ჰომოფობიური გამოვლინების არაერთ შემთხვევას ქონდა ადგილი, რა დროსაც ლგბტიქ თემის წარმომადგენლები პოლიციის უმოქმედობაზე და მათ მიმართ შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაზე მიუთითებდნენ.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ლგბტიქ თემის წარმომადგენლები დისკრიმინაციას მომსახურების მიღებისას აწყდებიან. ზოგიერთ შემთხვევაში, განმცხადებლები დისკრიმინაციას ექვემდებარებიან იმის მიუხედავად, მიეკუთვნებიან თუ არა ლგბტიქ თემს. აღნიშნული, ძირითადად, განპირობებულია გარეგნობით, ჩაცმის სტილითა და ქცევით, რაც მათი პირადი ავტონომიისა და თვითრეალიზების სფეროს ნაწილია.

იმ ფონზე, როდესაც ლგბტიქ ადამიანებთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული დისკურსი გაჯერებულია სტერეოტიპებით, სახეზეა ძალადობის ფაქტები და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტური გამოძიება, საქართველოს სახალხო დამცველი ვერ დარწმუნდა ქორწინების ცნების, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირის, კონსტიტუციით განსაზღვრის აუცილებლობაში, რამაც შესაძლოა გაზარდოს ლგბტიქ პირთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება. ეს მიდგომა ლგბტიქ პირთა უფლებების დაცვას და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნას არ აქცევს სახელმწიფოს პრიორიტეტად.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2017 წლის 6 თვის მონაცემებით, სიძულვილის მოტივით 3 პირის მიმართ იყო დანაშაული ჩადენილი (1 სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, 2 გენდერული იდენტობის ნიშნით) ორი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. ერთი პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლემ გაითვალისწინა დამამძიმებელი გარემოება. თუმცა, კვლავ არასაკმარისია სავარაუდო სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირებისკენ მიმართული ღონისძიებები. როგორც სახალხო დამცველის პრაქტიკიდან იკვეთება, ლგბტიქ თემის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისას კვლავ ბუნდოვანი რჩება, თუ რა სახის საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის მიზნით.

2017 წლის 17 მაისს ხელისუფლების მხრიდან უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომების მიღების შედეგად, ლგბტიქ აქტივისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ აღენიშნათ ჰომოფობიისა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. ღონისძიება წინასწარ შეთანხმებულ ტერიტორიაზე გაიმართა, რომელიც დაცული იყო პოლიციის კორდონით, ხოლო შეკრების მონაწილეები დანიშნულების ადგილამდე სამარშრუტო ტაქსებით გადაიყვანეს. შეზღუდულ სივრცეში და დროში გამართული აქცია, რომელიც კონტრ დემონსტრაციის ფონზე მიმდინარეობდა, ადასტურებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საჭიროებას ლგბტიქ თემის მიმართ არსებული წინასწარ განწყობების შესამცირებლად.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ტრანსგენდერი პირებისთვის სქესის სამართლებრივი აღიარების საკითხი. შედეგად, რიგ შემთხვევებში ტრანსგენდერ პირებს არ ეძლევათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით სარგებლობის საშუალება, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში იზრდება მათ მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის რისკი.

პრობლემურია ლგბტიქ პირთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით არსებული მდგომარეობა, რაც განპირობებულია სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპებისა და მითითებების არარსებობით, რომელიც ლგბტიქ, განსაკუთრებით ტრანსგენდერი ადამიანების სამედიცინო საჭიროებებზე იქნებოდა მორგებული.

22. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2017 წელს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. კვლავ აქტუალურია შშმ პირთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, აბილიტაცაია–რეაბილიტაციის, შრომისა და დასაქმების, მისაწვდომობის, სოციალური დაცვის უფლებების სათანადოდ რეალიზების კუთხით წლების განმავლობაში არსებული პრობლემები. ფერხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების სოციალური მოდელის დანერგვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციის რატიფიცირებიდან სამი წლის შემდეგ კვლავ არ არის შექმნილი კონვენციის აღსრულების ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმი, რაც აბრკოლებს სახელმწიფო სტრუქტურებს შორის კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციას. ასევე არ მომხდარა კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, რაც შშმ პირებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობას მისცემდა. საკანონმდებლო დონეზე არ განხორციელებულა კონვენციის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მიზნით აუცილებელი ცვლილებები.

კვლავ პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა. სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, ახალი მეტროსადგური „უნივერსიტეტი“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მისაწვდომი არ არის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ჯანმრთელობის უფლების რეალიზების პროცესში სახელმწიფოს მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობა. საანგარიშო პერიოდში დაფინანსების მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში სერვისის მიმწოდებელთა ნაწილმა, კერძოდ, მრავალპროფილურმა სამედიცინო დაწესებულებებმა უარი განაცხადეს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევაზე. პრობლემა ნაწილობრივ გადაიჭრა სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ. კერძოდ, შპს N5 კლინიკურმა საავადმყოფომ ზრდასრული პაციენტების მიღება განაახლა, ხოლო სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადებითად შეაფასა „აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები და ახალი შენობის მშენებლობა, სადაც ადმინისტრაციის განმარტებით, პალატები უნდა მოეწყოს.

დაწესებულებაში მოქმედი მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც 2014 წლიდან ფორმალურად არსებობდა, 2017 წლის მაისიდან შეხვედრებს მართავს და პაციენტების კონკრეტულ შემთხვევებს განიხილავს.

მიუხედავად ცვლილებებისა, გამოწვევად რჩება დაწესებულებაში მყოფი პაციენტების უფლებების დაცვის საკითხი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება არასაკმარისია, რაც პირდაპირ აისახება მიწოდებული ფსიქიატრიული დახმარების ხარისხზე. პრობლემად რჩება პერსონალის სიმცირეც, მათი კვალიფიკაცია და სოციალური დაცვის გარანტიების არარსებობა. ინფრასტრუქტურა მოძველებულია და სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით პაციენტების ყოფა შეიძლება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას გაუტოლდეს. დაწესებულება გადატვირთულია, რის გამოც ზოგ განყოფილებაში პაციენტები რამდენიმე დღის განმავლობაში წვანან დერეფანში დადგმულ საწოლებზე.

ადმინისტრაციის ინფორმაციით, დაწესებულებას არ გააჩნია ფინანსური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები სომატური დაავადებების გამოსაკვლევად და სამკურნალოდ. ისევ პრობლემურია ექიმისა და პაციენტების ურთიერთობის კონფიდენციალურობის დაცვის, პაციენტების ინფორმირებულობისა და მკურნალობის პროცესში ჩართულობის საკითხები; ვერ ხერხდება პაციენტების ოჯახის წევრებთან ურთიერთობის სათანადოდ უზრუნველყოფა და შესაბამისი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია.

პრობლემები რჩება ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ აბილიტაციისა და რეაბილიტაციის უფლების რეალიზების კუთხით. სახელმწიფოს მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში არ ხდება ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე პირისთვის ადეკვატური სპეციალიზებული სერვისის მიწოდება. არასაკმარისია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები. რიგი პრობლემებია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სკოლამდელი და ზოგადი განათლების უფლების რეალიზების კუთხითაც. მათ შორისაა, სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ადაპტირების, სპეციალურ პედაგოგთა რაოდენობისა და კვალიფიკაციის საკითხები.

კვლავ გამოწვევას წარმოადგენს შშმ პირთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა. 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს გამოიკვეთა, რომ ყველა საარჩევნო უბანი არ არის ფიზიკურად მისაწვდომი შშმ პირთათვის, ასევე, დაბალია საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების ინფორმირებულობა ამ პირთა უფლებების შესახებ.

სახელმწიფო უწყებების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ სრულყოფილი მონაცემების არარსებობა აბრკოლებს შშმ პირებისათვის საჭირო პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვის პროცესს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა, კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და აღსრულების მონიტორინგის ორგანოს მანდატით, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით ალტერნატიული ანგარიში წარუდგინა.

23. ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017–2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცებას. ამასთანავე, ხანდაზმულ პირთა უფლებების დასაცავად მნიშვნელოვანია სამოქმედო დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების სათანადო და დროული შესრულება.

2017 წელს სახალხო დამცველის სახელზე შემოსული განცხადებები ცხადყოფს, რომ ხანდაზმულთა ნაწილი მძიმე სოციალურ–ეკონომიკურ პირობებში იმყოფება. მათი უმრავლესობა სიღარიბის, უსახლკარობისა და იზოლაციის საფრთხის ქვეშ ცხოვრობს. ასაკოვანი ადამიანების დიდი ნაწილისთვის

არ არის ხელმისაწვდომი სოციალური სერვისები და ადეკვატური საცხოვრებელი. ასევე, არასაკმარისია მათზე ზრუნვის მიზნობრივი პროგრამები. პრაქტიკაში ხშირია ხანდაზმულთა სამედიცინო საჭიროებების უგულებელყოფის შემთხვევები.

ასაკოვანი ადამიანები ხშირად ხდებიან ძალადობის, მათ შორის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი. სახალხო დამცველის სახელზე შემოსული განცხადებები ადასტურებს, რომ პრობლემას წარმოადგენს როგორც ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა, ასევე, გამოვლენის შემთხვევაში, მათზე სათანადო რეაგირება და მსხვერპლის განმეორებითი ძალადობისგან დაცვა.

24. სათანადო საცხოვრებლის უფლება

სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაცია ისევ აქტუალურია. პრობლემად რჩება თავშესაფრის უქონელ პირთა მონაცემთა ბაზის წარმოების, მისი მუშაობისათვის საჭირო მეთოდოლოგიისა და ბიუჯეტირების პროცესში უსახლკარო პირების საჭიროებების გათვალისწინების საკითხი. ცალკეულ შემთხვევებში, პასუხისმგებელი უწყებები ამ უფლების არსის შესახებ საკმარისად ინფორმირებულები არ არიან და მას განმარტავენ, როგორც უსახლკაროთათვის გარკვეული ფართების საკუთრებაში გადაცემას, რაც იმთავითვე არასწორია.

ხშირად, ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე ისეთი საკითხებიც კი არ წყდება, რომელთა გამოსწორებაც ფინანსურ რესურსებს არ მოითხოვს, მათ შორის, კვლავ მოუწესრიგებელია საკანონმდებლო ბაზა, პროცედურები, ბუნდოვანია უსახლკარობის მასშტაბები. პრობლემად რჩება ინფრასტრუქტურული რესურსისა და გამოყოფილი ფინანსური სახსრების სიმწირე.

თბილისის მასშტაბით პროცესებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის თავშესაფრით უზრუნველყოფის პროცედურის ის ნაწილი, რომელიც მოქალაქეებისთვის ქულების მინიჭებას ეხება, სამართლებრივი აქტით არ არის დარეგულირებული. შესაბამისად, კომისიის წევრები ქულებს პირად შეხედულებებზე დაყრდნობით ანიჭებენ და პირისთვის კონკრეტული კრიტერიუმისა თუ პრიორიტეტის საფუძველზე მისანიჭებელი ქულის ოდენობას დამოუკიდებლად განსაზღვრავენ. სახალხო დამცველის წინადადების საპასუხოდ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ ამ მიმართულებით მუშაობისა და პროცედურის დახვეწის მზადყოფნა გამოთქვეს.

წინა წლების მსგავსად, პრობლემად რჩება ბათუმში, ე.წ. „მუყაოს ქალაქში“ არსებული მდგომარეობა და ცხოვრებისთვის შეუსაბამო პირობები არასრულწლოვანი, ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

25. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატს კვლავ აქტიურად მომართავდნენ პირები, რომლებიც საარსებო შემწეობის გაცემაზე უარს უკანონოდ მიიჩნევდნენ. ბევრი მათგანი ამბობდა, რომ ქულები გაეზარდათ მიუხედავად იმისა, რომ მათი სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვლილა. აღსანიშნავია, რომ ამ ადამიანებისთვის აღნიშნულ პროცესს ახლავს გარკვეული ბუნდოვანება და კითხვის ნიშნები. განმცხადებელთა მომართვების განხილვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მოქმედი მეთოდოლოგია არ იძლევა მოწყვლადი ჯგუფების სწორად გამოვლენის შესაძლებლობას და ზოგიერთი მონაცემი არაგონივრულად ზრდის ბენეფიციართა სარეიტინგო ქულათა ოდენობას.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ გარკვეული ზომები მიიღოს მოწყვლადი პირების სწორად იდენტიფიცირების, პროცედურების გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის გასაზრდელად.

26. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველი, გასული წლების მსგავსად, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას მთელი ქვეყნის მასშტაბით, 2017 წელსაც აქტიურად შეისწავლიდა. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა დევნილთა კომპაქტურად განსახლების 300–ზე მეტი ობიექტი მოინახულეს და 850-ზე მეტ იძულებით გადაადგილებულ პირს გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაცია.

სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ იძულებით გადაადგილებული პირები ნაკლებად არიან ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც, ზოგადად, ართულებს მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას. დევნილებს ასევე არ აქვთ ამომწურავი ინფორმაცია დევნილთა ჩასახლებებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ. კვლავ პრობლემას წარმოადგენს ე.წ. ნახევრად დაკანონებული ობიექტები, რომელთა სრული პრივატიზაციაც, აზომვითი სამუშაოების არაერთხელ ჩატარების მიუხედავად, ამ დრომდე არ ხერხდება. ამ პრობლემების გამო კი დევნილებს ამხანაგობა ვერ შეუქმნიათ.

2017 წელი დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ყველაზე მასშტაბური პროცესით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში, საცხოვრებელი ფართით, ნგრევად და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ განსახლების ობიექტებში მცხოვრები არაერთი ოჯახი დაკმაყოფილდა, ავარიულ შენობებში დევნილთა ცხოვრების საკითხი კვლავ მწვავე პრობლემად რჩება.

გარდა გრძელვადიანი განსახლებისა, აუცილებელია დევნილთა ინტეგრაციაც მათი განსახლების ადგილებში. დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ამ ადამიანებს უზრუნველყოფდეს ხელმისაწვდომი საარსებო წყაროებით. სახელმწიფომ კვლავ აქტიურად უნდა იმუშაოს საჭიროებაზე მორგებულ დახმარებაზე გადასასვლელად. აუცილებელია გაგრძელდეს დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა. ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება მნიშვნელოვანია საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე, რათა დევნილებს კერძო საკუთრებაში მხოლოდ რეაბილიტირებული შენობები გადაეცეთ.

27. კონფლიქტებით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობა განაგრძობდა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო, სოციალური, ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამის მიუხედავად, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებშიც, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება.

სახალხო დამცველის შეფასებით, ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილი აქვს ქართველი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით შევიწროებას და უფლებების უგულებელყოფას. სახალხო დამცველის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს 2017 წელს გალის რაიონში განვითარებული მოვლენები. მძიმეა ადგილობრივი, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა. ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, უკანონო დაკავებები რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების მიერ, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომლებთან გამკლავებაც მოსახლეობას წლების განმავლობაში ყოველდღიურად უწევს.

2017 წლის 4 მარტს, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ფუნქციონირება შეწყვიტა ხურჩა-ნაბაკევისა და ორსანტია-ოტობაიას გადასასვლელებმა. შესაბამისად, აფხაზეთის

გამყოფ ხაზზე გადაადგილებისათვის მხოლოდ ორი - ენგურისა და საბერიო-წყოუშის ე.წ. გამშვები პუნქტები დარჩა. საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებით, გადასასვლელების ჩაკეტვა უშუალოდ აისახება დღეში დაახლოებით 1000 ადამიანზე, და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ იზოლაციაში მოქცევას გამოიწვევს.

გადასასვლელების გაუქმებასთან ერთად, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ თითქმის გაასამმაგა სანქციები ე.წ. „საზღვრის უკანონო კვეთის“ ბრალდებით დაკავებულთათვის: თუ 2016 წლამდე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მკვიდრი მოსახლე დაკავებისთვის 2000 რუბლს (დაახლ. 80 ლარი) იხდიდა, 2017 წლიდან ჯარიმა 4800-დან 6000 რუბლამდე (დაახლ. 210-260 ლარი) გაიზარდა. განმეორებით დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობაც.

ამას ემატება აზიური ფაროსანას მიერ მიყენებული ზარალი ხილის, ციტრუსისა და თხილის მოსავალზე, რომელიც გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყაროა. ანალოგიური სიტუაციაა სამეგრელოს რეგიონის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებშიც. სახალხო დამცველის აპარატისათვის მიწოდებული ინფორმაციით, ადგილობრივი მოსახლეობა ენგურის ორივე მხარეს, სერიოზული ჰუმანიტარული კრიზისის მოლოდინშია, რაც საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

2017 წელს სტაბილურად მძიმე იყო მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმართულებითაც. აფხაზეთის მსგავსად, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ოკუპირებული ახალგორის რაიონის ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებმაც სწავლა რუსულ ენაზე დაიწყეს, ქართული ენა კი ერთ-ერთ საგნად დარჩა, რაც ნიშნავს, რომ ახალგორის რაიონში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა აღარ ექნება.

საანგარიშო პერიოდში ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ კვლავ გააქტიურა ზეწოლა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და აქტივისტებზე. დე ფაქტო სამართალდამცავებმა ორჯერ უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ახალგორელ აქტივისტს თამარ მეარაყიშვილს, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, ამ რეგიონში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კიდევ ერთი მაგალითია.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ სტაბილურად მძიმე იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. შიდა ქართლის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ყველაზე დიდ პრობლემად კვლავ შემოსავლის წყაროს მოძიება და უმუშევრობა რჩება. ხშირი დაკავებების გამო პრობლემურია უსაფრთხოების საკითხი გამყოფ ხაზზე. ოფიციალური სტატისტიკით, 2017 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე საქართველოს 109 მოქალაქე დააკავეს (ეს რიცხვი 2016 წელს 134-ს შეადგენდა, 2015 წელს კი - 148-ს). სახალხო დამცველის აპარატმა დაკავებულთა მიმართ ფიზიკური ძალადობის რამდენიმე ფაქტიც გამოავლინა. მოლაპარაკებების დროს ქართული მხარის მოთხოვნის მიუხედავად, კვლავ პატიმრობაში რჩება 2016 წლის ივნისში დაკავებული საქართველოს მოქალაქე გ.გ., რომელსაც 2016 წელს ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

კვლავ გადაუჭრელია ომის დროს დაზიანებული სახლების საკითხი, რომელთათვისაც მოსახლეობას კომპენსაცია არ მიუღია. ეს განსაკუთრებით ეხება გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარს, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩას. მისასალმებელია, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითმა სამთავრობო კომისიამ საკითხის აქტიურად განხილვა წამოიწყო, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება კომპენსაციის თაობაზე არ მიუღია. შესაბამისად, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განხორციელების მიუხედავად, მოსახლეობა უჩივის გამყოფი ხაზის სოფლებიდან მაღალ მიგრაციას.

28. ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დონეზე ეკომიგრაცია იძულებით გადაადგილების ერთ–ერთ სახედ მიიჩნევა, საქართველოში ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ გამოჩენილი ძალისხმევა არასაკმარისია და დევნილების მიმართულებით მიღებულ ზომებს ბევრად ჩამორჩება. მთავარი გამოწვევა სახელმწიფოს მხრიდან საკმარისი ფინანსური რესურსის გამოყოფაა. კანონმდებლობა ეკომიგრანტებთან დაკავშირებულ საკითხებს საკმარისად არ არეგულირებს. არ არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც განმარტავდა, ვინ არის ეკომიგრანტი და აღნიშნული სამართლებრივი სტატუსი პირთა რა კატეგორიაზე ვრცელდება.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს გაგრძელდა ეკომიგრანტი ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნა და 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ერთიანი სტრატეგიის არარსებობა, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა სტიქიური მოვლენების რისკის ზონებში საპრევენციო საქმიანობის განხორციელებისა და სტიქიით დაზარალებული ოჯახების ჩასახლების ადგილებში ადაპტაცია-ინტეგრაციის ხელშეწყობის აუცილებლობა; ასევე, შესაბამის სახელმწიფო ორგანოთათვის სახელმძღვანელო პრინციპები და პროცედურული წესები. ეკომიგრაციის თავიდან აცილება პრობლემურია შესაბამის ორგანოებს შორის დროული კოორდინაციისა და სათანადო ღონისძიებების გატარების მხრივაც.

2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ზვიად ნაზღაიძის საქმე. სახალხო დამცველმა მისთვის ზიანის ანაზღაურების შესახებ გამოცემული აქტი კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია და მისი გაბათილება მოითხოვა. დღემდე არ არსებობს წესი, რომელიც ზიანის ანაზღაურებას გაითვალისწინებდა პირებისთვის, რომელთა მიწის ნაკვეთებიც სტიქიის ზონაში მოხვდა, თუმცა კი მათზე საცხოვრებელი არ ყოფილა განლაგებული. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ხელისუფლება საკითხის ამგვარად განსაზღვრას პრობლემად მიიჩნევს, ინდივიდუალური შემთხვევების ერთჯერადი და სუბიექტური გადაწყვეტის ნაცვლად, საჭირო იქნება სისტემური ცვლილების განხორციელება და ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება.

29. საბჭოთა ხელისუფლების მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ

2014 წელს „ყოფილი სსრკ–ის მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის“ დამტკიცებიდან სამი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ არ არის მიღებული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, რომელმაც სტრატეგიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად კონკრეტული მექანიზმები და პროცედურები უნდა განსაზღვროს.

პრობლემას წარმოადგენს რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობაც. მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭოში გაწევრიანებასთან ერთად, ქვეყანამ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის ვალდებულება აიღო, მათი შესრულება ჭიანურდება.

გადასახლებულ პირთათვის კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოს მოქალაქეობის მიღება. მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების მიუხედავად, ე.წ. პირობადებულ მოქალაქეობას ართულებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის, როგორც საქართველოს მოქალაქეობის ამოქმედებისთვის აუცილებელი პირობის, საჭიროება.

რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი 5 841 პირიდან სტატუსი სულ 1998 პირს მიენიჭა, მათგან 465 პირს – 2017 წელს.

30. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა

სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში, რამდენიმე შემთხვევაში, უცხოელთათვის ეროვნული უსაფრთხოების არგუმენტით მოქალაქეობის მინიჭებაზე თუ ბინადრობის ნებართვის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარი დაადგინა. აღნიშნულ დასკვნამდე სახალხო დამცველი საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მივიდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, რამდენიმე შემთხვევაში, სრულიად დაუსაბუთებელი არგუმენტაციით, არ მიაწოდა სახალხო დამცველს საიდუმლო ინფორმაცია, რასაც ამჟამად სასამართლო განიხილავს.

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებულ ყველა საქმეში სრულიად დაუსაბუთებელია უცხოელებისათვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმა „კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების“ საფუძვლით, ვინაიდან არცერთ შემთხვევაში არ სახელდება კონკრეტული სამართლებრივი აქტი და მისი ნორმა, რომლითაც ასეთი შემთხვევა იქნებოდა გათვალისწინებული. ასევე არ მიეთითება კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი, ეროვნული უსაფრთხოების არგუმენტით უცხოელების მიმართ სხვადასხვა უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას. ამგვარი პრაქტიკა სისტემური პრობლემის არსებობაზე მიანიშნებს, რომელსაც დაუყოვნებლივ სჭირდება გამოსწორება.

31. თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2017 წლის სექტემბერის მონაცემებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) თავშესაფრის მაძიებელმა 604 პირმა მიმართა. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამავე პერიოდისთვის 380 განმცხადებლის საქმეს შეისწავლიდნენ. სულ ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსით 1480 პირი სარგებლობს.

2017 წლის მაისში, სამინისტროსა და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, ინტეგრაციის ცენტრი გაიხსნა. მისი მიზანია ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სოციალურ–ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა და მათ საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელება. სახალხო დამცველი მიესალმება ცენტრის გახსნას და მიიჩნევს, რომ იმ სირთულეების გათვალისწინებით, რაც თან ახლავს ინტეგრაციის პროცესს, მნიშვნელოვანია ცენტრში შემუშავებული პროგრამების გაფართოება და მათი კონკრეტულ ბენეფიციარებზე მორგება.

2017 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, რითაც საქართველოს კანონმდებლობა „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციას მთელ რიგ საკითხებში დაუახლოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა კანონმა გაითვალისწინა საერთაშორისო დაცვის სტანდარტებთან დაკავშირებით მიღებული ევროკავშირის საკვალიფიკაციო დირექტივის დებულებები, მასში რჩება დებულებები, რომლებიც გადახედვას საჭიროებს. კერძოდ, სახალხო დამცველის აზრით, საერთაშორისო დაცვის სტატუსის განსაზღვრის პროცედურისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადები არაგონივრულად ხანგრძლივია. სტატუსის განსაზღვრის პროცედურის გაჭიანურებამ, როგორც თავშესაფრის მაძიებლებს, ისე საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს, შეიძლება ხელი შეუშალოს, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით, მათ შორის, განათლების, დასაქმების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის, სარგებლობაში, რაც აღნიშნულ პირთა ინტეგრაციის პროცესის ხელშესაწყობად, უმნიშვნელოვანესია.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს
სახალხო დამცველი

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით.
მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და
პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

ნინო რამიშვილის ქუჩა #6,თბილისი, საქართველო
+995 32 2913814; +995 32 2913815
+995 32 2913841
info@ombudsman.ge
www.ombudsman.ge
fb.me/OmbudsmanofGeorgia
ცხელი ხაზი: 1481